| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.


# ივერია


გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


**გაზეთი „ივერია“ პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მ. 50 კ.**

ტფილისი, 5 ივნისი

ჩვენს დროში ქვეყნის საქმეებმა ისეთი ძირი გაიგეთა, ისეთი მიმართულება და ხასიათი დაიჭირა, რომ დღეს ყოველს ცალკე სახელმწიფოს შეუძლიან თვისი მოპირისპირე, სამტროდ მოცილე სახელმწიფო უომრად ომზედ არა ნაკლებ დააზიანოს. თუ გნებავთ, ეს ახალი სამტრო სახსარი იგივ ომია და ზოგჯერ ომზედაც უარესი, მაგრამ სისხლ-დაუღვრელი ომი კია, იმისთანა ომი, საცა არც ზარბაზანის გრიალია, არც ხმალის ტრიალი.

ამისთანა ომის მოედნად საეკონომიო ყოფა-ცხოვრებაა, ესე იგი, იმისთანა განსხვავებული ვითარება და გარემოებანი, რომელთა საერთო კრებული ჰქმნის მეტ-ნაკლებობას სიმდიდრისას ერისას და ქვეყნისას. დღეს ძლიერი სახელმწიფო იგია, ვინც მდიდარია და ვისაც, მაშასადამე, მეტი შეძლება აქვს ბევრი გასწიროს და მაინც სახსარი შერჩეს ცხოვრებისა. დღეს ცარიელი მკლავი იმოდენად ველარა სჭრის, რაც სავსე ჯიბე: დღეს იგია უძლეველი, ვინც უფრო დიდხანს და ხანგრძლივ გაუძლებს საომარს ხარჯსა, ომის შემმუსრველს ჭირსა და ვაგლახსა. დღეს ინგლისი რომ გულ-ზვიადად არის, რომ გაბედულად და გადნიერად ეტანება ყოველს საქმეს ევროპის საერთო პოლიტიკისას და საითაც გაიწევს, თითქმის იქით გააქვს სვე დღევანდელის სამკალისა—ამის მიზეზი ჯართა სიმრავლე-კი არ არის, არამედ გატენილი ჯიბეა. არც ერთი დიდი სახელმწიფო არ არის ევროპაში, რომ ჯარი ინგლისზედ ერთი-ორად და ერთი-სამად მეტი არა ჰყვანდეს და ერთი-ორად, ერთი-სამად უკეთესად მოწყობილი, მაგრამ-კი ინგლისს ქვეყნის საქმეთა დალაგებასა და განკითხვაში სხვაზედ, თუ არ მეტი, ნაკლები ხმა არა აქვს მარტო იმით, რომ ძლიერია ჯიბითა.

დღევანდელი ტოკვა თვითველის სახელმწიფოსი, შიგნეული რომ კარგად გავუსინჯოთ, სხვა არა არის რა, თუ არ ის, რომ საპოლიტიკო ეკონომიის ბრძოლის მოედანზედ რაც შეიძლება მომეტებული ადგილი დაიჭიროს, ფართო გზა გაიკაფოს, დიდი არხები გასჭრას სიმდიდრის მოსადინებლად, სხვისი იეფად და ცოტა იყიდოს და თავისი ძვირად და ბლომად გაასაღოს. დღევანდელს ბრძოლას და ცილობას სახელმწიფოებისას დღეს სარჩულად უფრო ეს სიხარბე უდევს, ვიდრე სხვა რამ; ამისთვის იღწვიან, ამისთვის ემზადებიან, ამისთვის თოფ-იარაღს ხელსა ჰკიდებენ.

დიპლომატიამ დიდი ხანია მიაგნო ამ საეკონომიო გარემოებათა ძალ-მომრეობას, დიდი ხანია იცნა მისი ძალ-ღონე სახელმწიფოს ძლიერების მეტ-ნაკლებობისათვის. ამიტომაც საშინაო და საგარეო პოლიტიკამ თვითველის ცოტად თუ ბევრად შემძლებელის სახელმწიფოებისამ თავისი ზომა მიიღო, რომ სახელმწიფომ, რაც შესაძლოა, დიდი და ბევრს ადგილას ბაზარი იქონიოს თავის საქონლის გასასაღებლად ქვეყნის მოედანზედ და სხვისას-კი კარი შიგნიდამ ურდულით მაგრა გამოუკეტოს.

პირველის აზრის მისაღწევად ის ღონე იხმარეს, რომ საგარეო პოლიტიკა სახელმწიფოსი კოლონიების და სხვა ქვეყნების დაპყრობაზედ მიჰმართეს, სახელდობრ, იმისთანა ადგილებისაზედ, საცა და საიდამაც საქონლის მიტანა და მიწვდენა თავისუფლად შეიძლებოდა აღებ-მიცემობის გასამართავად, — და მეორის მისაღწევად ისა, რომ თავ-თავის სახელმწიფოებს საბაჟო ზღუდეები შემოავლეს. პირველ ხანებში პირველს მიმართულებას უფრო უპირატესი და უაღრესი ადგილი ეჭირა ევროპის პოლიტიკაში და ყოველი სახელმწიფო, რომელსაც-კი (როგორც, მაგალითებრ, ისპანიას, საფრანგეთს, ინგლისს, იტალიას), გზა თავისუფალი ჰქონდა ზღვებზედ სავლელად, მიესია სხვა შორეულს ქვეყნებს დასაპყრობად და ვისაც ზღვის გზა არა ჰქონდა, როგორც, მაგალითებრ, რუსეთს, მან ზღვებისაკენ გაიწია, რომ კარი გაიღოს შინიდამ გარედ გასასვლელად.

ეს მიმართულება ერთს დროს ისე გაძლიერებული იყო, რომ თვითველი დიდი სახელმწიფო თითქმის მარტო ამისათვის იყო მოცლილი და თითქმის მარტო ამას ალევდა თავის ძალ-ღონესა. მაშინ, ვინც რა მოასწრო და შეირჩინა, დღეს თვითველს ხელთ უპყრია და მაგრად ეჭიდება. მას აქედ ეს მიმართულება ცოტად თუ ბევრად განელდა, დაწყნარდა ჯერ იმიტომ-რომ თითქმის რაც სახარბიელო ადგილები იყო, უკვე დაჭერილია და მერე იმიტომ-რომ თვითონ კვლავ დასაჭერი ქვეყნები თავ-გამოდებით ეურჩებიან უცხოთა ზედ-მისევასა და ისე ადვილად აღარ უვარდებიან სხვას ხელში, როგორც უწინ. ამას გარდა თვით სახელმწიფოთა შორის ცილობა და შური ყველგან მოსარჩლეს უჩენს დასაჭერად ნიშანში ამოღებულს ქვეყანასა, თუ ერთი მათგანი სხვის დაუკითხავად წაეტანა. დასაჭერი ქვეყნები ამ სარჩლში, შურისა და ცილობისაგან გამოწვეულში, თავის დასახსნელს ღონესა ჰპოებენ, როცა გაუჭირდებათ ხოლმე.

ამის გამო, თუ სხვა მიზეზით ამ მიმართულებისაგან მოიცალა სახელმწიფოთა პოლიტიკამ და ცოტად თუ ბევრად სხვა პოლიტიკისათვის ადგილი დაათმობინა. დიპლომატიამ იგრძნო, რომ დაზიანება სხვა სახელმწიფოსი მარტო იმით არ მოხდება, რომ სხვაგან ბევრს ადგილას ბინა და ფეხი მოიკიდოს სააღებ-მიცემოდ; შესაძლოა მოცილე და სამტროდ თავ-გამოდებული სახელმწიფო სხვა გზითაც შეჰხუთოს. ეს გზა ის არის, რომ მისი საქონელი თავის სამზღვრებში არ შემოუშოს, არ გააჭაჭანოს, ამისათვის დამოქნები და საბაჟოები დაჰმართონ და ამით ბაზარი აღებ-მიცემობისა ცოტად თუ ბევრად მოაკლონ და დაუკეტონ.

ძალ-მომრეობა დამოქნებისა და საბაჟოებისა დიდია ქვეყნის საეკონომიო ცხოვრებისათვის. საბაჟო გადასახადის მეტ-ნაკლებობაზედ ბევრი რამ არის დამოკიდებული როგორც სხვა სახელმწიფოებისათვის, ისეც თვით ბაჟის დამდებისათვისაც. ამ ბაჟს შინაც და გარეთაც ბევრი წყენა შეუძლიან, თუ კაცი გაუფთხილებლად და წინ დაუხედავად მოიქცა. რადგანაც ესეა, დღეს თვითველი მოცილე სახელმწიფო ჰცდილობს თავის მოპირისპირეს ამ მხრით ავნოს რამე და საქონელს, რომლის სიმრავლითაც მოპირისპირე სახელმწიფო სცხოვრობს და იკვებება, იმოდენა

# ფელეტონი

## უცხოთა შორის

თავ-მოწონება ინგლისელებისა.—პატივცემული ლორდი და ღირსეული ჯენტლმენი.—ქანც-გამოლეული დეპუტატები.—მკვახე-მკვახე სიტყვები.—მინისტრი და ბებია-ქალი.—თავ-მომწონე ისპანელნი.—12 მეფე ალფონსი და ერთი ფერნანდო.—ნილაბოსანი მხატვარი.—ხუმრობით ცოლის შერთვა.—სანთლის ქრობა ღამ-ღამე რევოლვერით.—ზარის მაგიერ ზარბაზანი მოსამსახურეთათვის.—სამჯერ გათხოვება ხუმრობით.—დიდება შენდა, უფალო!

ევროპის განაპირას, დასავლეთის კიდურზე, სძევს ორი საკმაოდ მოზრდილი კუნძული. ერთსა ჰქვიან დიდი ბრიტანია და მეორეს—ირლანდია, რომელსაც კიდევ მწვანე ანუ ზურმუხტის კუნძულსაც ეძახიან. ამ ორს დიდს კუნძულს სხვა ბევრი წვრილი კუნძულებიც არტყია გარშემო. აი ამ კუნძულების მკვიდრნი არიან ქვეშევრდომნი ინგლისის სახელმწიფოსი. ეს მკვიდრნი ბევრად განირჩევიან სხვა ევროპიელებისაგან. როგორც ქვეყანა ინგლისელებისა მოწყვეტილი და მოშორებულია ევროპაზე და სხვა ქვეყნებს ბევრში არა ჰგავს, ისე თვით ინგლისის ერია. ამ ერს თავისი განსაკუთრებული და ბევრად უფრო სხვა ნაირი, თავისებური ცხოვრება, სხვა ნაირი ზნე-ჩვეულება და წეს-წყობილება აქვს, ვიდრე ევროპის სხვა ერსა. თითქმის თვალ-ტანადობითაც, გამოცდილი კაცი თვალადაც მაშინვე შეატყობს ინგლისელსა.

ინგლისელი პირველ ყოვლისა ამაყია და თავ-მომწონე. მაგრამ ისეთი ამაყი-კი არ არის, როგორც, მაგალითად, ისპანიელი ჰიდალგო ანუ ზოგიერთა ჩვენებური კუდა-აზნაური. არა, ინგლისელი ჰგრძნობს თავის ღირსებას, თავის კაცობას და ამითი მოაქვს თავი. ინგლისელს მეტად უყვარს თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ადვილად არავის არ მოუხრის ქედს. თავის ღირსების დასაცველად ინგლისელი არავის არას დაუთმობს. არც უსამართლობას შეარჩენს ვისმე, რაც გინდა დიდის ღირსებისა და მაღალხარისხოვანი იყოს უსამართლობის ჩამდენი.

თუმცა ასეთია ინგლისელი, მაგრამ რიგიანს წვრთნას, სწავლას და განათლებას დიდი თავაზიანობაც, მართებულობაც დაუკუთვნებია. მოგეხსენებათ, როგორ იხსენიებენ ხოლმე ერთმანერთს ინგლისელები პარლამენტში ბაასისა და კამათობის დროს. რაც უნდა ცხარე და გამწარებული ლაპარაკი ასტყდეს, ინგლისელი მაინც მოთმინებას არა ჰკარგავს და ზრდილობიანად, თუმცა ხანდისხან მკვახედ-კი, იხსენიებს თავის მოპირდაპირეს. „ჩემმა დიდის პატივისცემის ღირსმა მოკამათემ ჰბრძანა“, დაიწყობს ხოლმე დეპუტატი ანუ მინისტრი თავის სიტყვას მოკამათეს საპასუხოდ; „ღირსეულმა ჯენტლმენმა ინება...“ „კეთილშობილს ლორდს ჰნებავს...“ და სხვანი.

ამას წინად ინგლისის უპირველესმა და უდიდესმა გაზეთმა „ტაიმსმა“ ერთის საქმის გამო დაჰბეჭდა, რომ ირლანდიელი დეპუტატი დილლონი „ცხადადა სტყუის და მიედ-მოედებაო“. ამაზე პარლამენტმა თავი გამოიდო: როგორ თუ ასე კადნიერად მოექცა გაზეთი ადამიანურს ღირსებას დეპუტატისასაო. პარლამენტში დიდი ბაასი ასტყდა მასზედ, რომ «ტაიმსი» სამსჯავრომ უნდა განიკითხოს ამ დანაშაულობისათვისაო. აქედამ სჩანს, რომ თუმცა ზოგიერთნი თავის თავს ნებას აძლევენ ავად მოიხსენიონ კაცი, მაგრამ თვით საზოგადოებაში საკმაოდ ძლიერად დანერგულია პატივის-ცემა ადამიანის ღირსებისა. ძალიან ხშირად თითონ საზოგადოება და მისი უმთავრესი წარმომადგენელი პარლამენტიც-კი გამოესარჩლება ხოლმე ავად-ხსენებულსა.

**

თვითონ ცალკე კაცნიც-კი ძალიან თავ-გამოდებულნი არიან და არავის არ შეარჩენენ ხოლმე, თუ ვინმე გაუბედა და შეუბღალა ღირსება და ან სამართალი დაურღვია. დიდია თუ პატარა, თვით მინისტრსაც-კი არ მოერიდება ინგლისელი ამ შემთხვევაში და სამსჯავროდ გაუხდის საქმეს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ სამსჯავრო დიდ-პატარაობის მიუხედავად მოიქცევა, სამართლის სასწორს არავისათვის არ გაამრუდებს.

მინისტრს ბალფურს, მაგალითად, დაებრალებინა ერთის ბებია-ქალისათვის, რომ თავის დროზედ არ მიეშველა მშობიარესაო. ბებია-ქალმა ეს თავის ღირსების გაუპატიურებად იცნა და საჩივარი შეიტანა სამსჯავროში მინისტრზედ ცილის-წამებისათვის და მინისტრსაც-კი ეს უბრალო საქმე არ აპატივა.

აი მეორე მაგალითიც. ერთს სამარცხვინო საქმეში დიდი-კაცები გარეულიყვნენ. როცა ამ საქმეს მსაჯული არჩევდა, მაშინ გაზეთების კორრესპონდენტები დაითხოვა, რადგანაც უნდოდა, რომ ამ დიდის კაცების ამბავი არ გამოემჟღავნებინათ გაზეთებში და მათ ოინებს ჩაილულის წყალი დაელიათ. ინგლისელთა გრძნობამ სიმართლისამ ითაკილა ამისთანა ქცევა მსაჯულისა და ამ საქმეში დამსწრე ნაფიცთა მსაჯულთა დიდი პროტესტი გამოაცხადეს: როგორ თუ ინგლისელი მსაჯული ეგრე ხელს აფარებს დანაშაულობასა და მის გამოქვეყნებას დამნაშავეთა დიდ-კაცობის გამო ხელს უშლისო.

რასაკვირველია, სისწორე და მიუდგომლობა სამართლისა ჰნერგავს ხოლმე საზოგადოებაში საერთოდ და თვითოეულში ცალკე ამ გაწმენდილს გრძნობას კაცის ღირსებისას და თვითოეულს ცალკე და ყველას საერთოდ დაჩაგრულის მოსარჩლედა ჰხდის. ინგლისში ეგ სარჩლი თითქმის მოვალეობად არის მიღებული.

არამც თუ მარტო შეგნებულნი, ნასწავლნი და მდიდარნი იქცევიან ასე გაბედულად და ძვირად აფასებენ თავიანთ დამოუკიდებლობას, არამედ ღარიბი და მცირედ ნასწავლი ინგლისელიც-კი ასეთის გამბედავისა და შეუმდრკალის ხასიათისაა.

**

ერთი ღარიბი და პატიოსანი გასათხოვარი ქალი წავიდა სოფლიდამ ლონდონში და იქ უნდოდა სამუშავო რამ ეშოვნა და თავის ჯაფით მოენაგრა ლუკმა-პური. საცოდავი დაჰლექდა და გარდაიცვალა ლონდონის ერთს საჰკურნალოში. ავად-მყოფობის დროს ახალგაზდა ქალს არავინ არა ჰყვანდა პატრონი და გულ-შემატკივარი. მხოლოდ ერთი ოჯახი იყო დურგლის ჯოზეფ ბელისა და მარტო ამ ოჯახისანი ინახულებდნენ ხოლმე და ანუგეშებდნენ უთვის-ტომო ავადმყოფსა. ქალი ჰგრძნობდა, რომ მო-

ბაქი დასდოს, რომ სახსარი და ილაჯი არა ჰქონდეს გაიშჯაშჯანოს ბაქის დამდებს სახელმწიფოს ბაზარში.

ეს ორპირი მახვილია, თუ ზოგიერთს მეცნიერებს ვკითხავთ: ერთის პირით სახელმწიფო ჰკვნებს სხვას და მეორითა თავის საკუთარს თავსაო. ასეა თუ არა, ამას შემდეგ წერილებში გამოვიძიებთ შეძლებისამებრ.

## ახალი ამბავი

*** ამ ექვსისა და შვიდის წლის წინად თერგისა და არაგვის ხევიდამ დაიწყეს თითო-ოროლა ოჯახობით გადასახლება ვლადიკავკავისაკენ (ძაუგისაკენ) ამ ქალაქიდამ 10—12 ვერსტის სიშორეზე, კამბილეევკის და ტარსკის სოფლების ახლოს. ეს გადასახლებულები მცირე მამულის პატრონები იყვნენ და იმედი ჰქონდათ, კარგად ვიცხოვრებთ, რაკი ბლომა სახნავ-სათესს მამულებს ვიშოვნითო. მაგრამ გარს უცხო თემი ერტყათ, ოსები და ქისტები, და ამიტომ ახალ ადგილას ვერ მოთავსდნენ, ვერ გაისაძლისეს. სოფელ ტარსკთან თუმცა 80 კომლი მოხელე დასახლდა ამ შვიდის წლის წინად, სახნავ-სათესი მიწებიც იშოვა, სახლები აიშენა და ბინა მოიკიდა, მაგრამ უცხო თემში იმდენი შეწუხება გამოიარა, რომ ველარ გაისაძლისა. ჯერ საზოგადოდ გადასახლება ხომ ძნელი საქმეა, ამის გამო პირველსავე ხანებში ამ ოთხმოც კომლში თითქმის ნახევარი დაიხოცა. დანარჩენები აიყარნენ, ისევე დაბრუნდნენ ხევში, თავის ძველ ბინაზე. აქამომდე თუმცა აქ ბევრი ლაპარაკი იყო მამულის შოვნაზე და გადასვლაზე, მაგრამ ეხლა ხალხი ისეა დაშინებული, რომ გადასახლების ხსენებაც-კი ყველას აშინებს.

*** ამ გვარადვე აგერ ათიოდე წელიწადი იქნება რაჭიდამ გადასახლდა ასზე მეტი მოსახლე ვლადიკავკავის მხარეს, სახელდობრ ოსეთის დაბას ალაგირში. მათის გადასახლების მიზეზი სახნავ-სათეს ადგილების უქონლობა იყო. თუმცა ალაგირში სახნავ-სათესი იშოვეს, მაგრამ სხვაფრივ ისე ვერ მოეწყვნენ, როგორც რაჭიდამვე გასულები აფხაზეთში. უპირველესი გაჭირება ის არის, რომ გარს უცხო თემია, ოსობაა, რომელთა ცხოვრება და მოწყობილობა სულ სხვა გვარია, მათთან ვერ მოთავსებულან და ოსებისაგან არც თუ უსიამოვნება აკლიათ. ცხადია, რადგანაც ოსებს თვითონ სახნავ-სათესი ნაკლებადა აქვთ, რასაკვირველია, უცხო ხალხის ჩასახლებას თავის შევიწროებად ჩასთვლიან. ეს ნამდვილად ასეც არის. ამის გამო ორ ხალხს შუა უსიამოვნება ითესება, რაიცა სასურველი არ არის. ამ გვარად ალაგირში დასახლებულს რაჭველებს თავისი თავი ურჯულო თემში გადახვეწილად მიაჩნიათ, არ ესმით არც იმ თემის ავი და კარგი, არც ენა და არც ადათი; ამას ემატება უტყეობა. ამ შევიწროებისა გამო ალაგირის რაჭველები ისევ რაჭაში დაბრუნებას აპირებენ, თავის მამა-პაპის სოფლებში, და აშენებულ სახლებზე და შემუშავებულ მამულებზე ხელს იღებენ. ასე ამბობენ, რაც იქნება, იქნება, აქ ყოველისფრით გაგვიჭირდა ყოფნაო და იქ ჩვენს ქვეყანაში ჩვენს მწუხარებას მეზობელს მაინც გავაგებინებთო; ჩვენს თემში ჭირიც ლხინიაო.

*** დღეს მოგვივიდა ბ-ნ გრიგოლ ჩარკვიანისაგან დაბეჭდილი შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხვის ტყაოსანი“. წიგნი 271 გვერდს შეიცავს, სუფთად არის დაბეჭდილი; შრიფტიც ძრიელ კარგია. შიგ ჩართულია ავტორის სურათიცა, პირის-ფერ ქაღალდზე დაბეჭდილი. სამწუხაროდ, ეს სურათი სულ ამახინჯებს ამ მშვენიერს წიგნს: სურათი მოსკოველ ლეუხინ-მანუხინის დაბეჭდილ წიგნებში ჩართულ მხატვრობას მოგვაგონებთ. ფასი 1 მან. წიგნს ბოლოში ლექსიკონი აქვს. სწორედ კარგს დროს დაიბეჭდა ეს წიგნი; „ვეფხვის ტყაოსანი“ თითქმის გასასყიდად აღარსად არ იყო.

*** ტფილისის მე-V საარხეოლოგიო კრების რეფერატების კრებული დაიბეჭდა მოსკოვში და ამ დღეებში მოვა ჩვენს ქალაქში. ამ კრებულში სხვათა შორის დაბეჭდილია ოთხი რეფერატი ჩვენის ისტორიკოსისა, ბ-ნის დ. ზ. ბაქრაძისა და მისივე საპალეოგრაფიო რუკა. კრებული დაჰბეჭდა მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადოებამ.

*** ბანკის თეატრის გადაკეთების პლანი დაამტკიცა ბანკის გამგეობამ. მუშებმა უკვე დაიწყეს ძველის შენობის დაქცევა. ამბობენ, რომ განახლებული თეატრი შემოდგომამდე მზად იქნებაო.

*** სამხედრო ბეგრის გამგეობამ უკვე დაიწყო თავისი მოქმედება. ყოველ კვირაში ორი კრება აქვს ხოლმე. საქმეების სიმრავლის გამო რამდენიმე მოხელე მოუმატებიათ.

*** ივნისის 4-ს ვაჭრობა იყო ტფილისის ქუჩების განათების იჯარით გასაცემად. ვაჭრობას დაესწრო რამდენიმე კაცი, მათ შორის ბაქოდამ მოსული ნავთის მექარხნეებიცა. მთელს ქალაქში სულ 1.939 ფანარია; ამას წინად დოჩარსა ჰქონდა იჯარით ეს ფარნები და თითოში 11 მან. 50 კ. იღებდა; ამას გარდა მოიჯარადრე თითო ჩირაღდანში 70 მან. იღებდა, ასე რომ წელიწადში სულ ორიათას სამას სამოც-და-თოთხმეტი თუმანი და რვა მან. მოსდიოდა იჯარის ფული. მოიჯარადრეს კვლავ სდომებია აღება იჯარით ქალაქის განათებისა, მაგრამ წინანდელის ფასისათვის არა დაუკლია-რა. ერთს სხვა მოვაჭრეს 10 მან. და 70 კ. მოუთხოვნია თითო ფარანზე.

*** გორიდამ გვწერენ: „ამას წინად „ივერიაში“ იყო მოხსენებული, რომ მის ყოვლად-უსამღვდელოესობას, გორის ეპისკოპოზს ალექსანდრეს, უნდა „ადრესი“ გაუგზავნოს გორის ქართველთა საზოგადოებამაო. ადრესი უკვე მიართვეს გორის საზოგადოების მხრივ. ამას გარდა გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღვარმაც თავად-აზნაურების მხრივ მიართვა ადრესი ოც-და-ხუთის წლის დაუღალავის მოღვაწეობისა გამო ეპისკოპოზს ალექსანდრეს. გორის მაზრის წინამძღვარს საბუთიც ჰქონდა ამ გვარის ადრესის მირთმევისა, რადგანაც ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე გორის მაზრიდგან არის“.

*** გორიდამვე გვატყობინებენ, რომ წელს გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლას ათავებს სულ ექვსი მოსწავლე; ექსივე სასულიეროს წოდების შვილნი არიან. გორის სასულიერო სასწავლებელში ბლომად არიან ერის კაცთა შვილებიცა, მომეტებულ ნაწილად გლეხ-კაცთა შვილნი. სწავლის ფულს დღემდის ექვს მანეთს იხდიდნენ, მაგრამ სამღვდელოთა კრებამ, რომელიც ამ წლის აპრილის ოც-და-ათში იყო, სწავლის ფულს მოუმატა: მოსამზადებელს კლასებში მყოფ შეგირდებზე რვა მანეთი დაადგინა და ნორმალურს კლასებში მყოფ შეგირდებზე-კი თუმანი გახადა.

*** იქიდამვე გვატყობინებენ: „თიბათვის ოც-და-ხუთში დანიშნულია მორიგი კრება გორის მაზრის სამღვდელოთა, რომელმაც უნდა ხელ-მეორედ განიხილოს სასწავლებლის შენობის საქმე. ამ დღისთვის კომისიამ უნდა შეკრიბოს ყველა ნაირი ცნობები მზად-აშენებულის სახლების შესახებ და სამღვდელოთა კრებას წარუდგინოს. იქნება ეხლა მაინც ბოლო მოეღოს ამ გაუთავებელს საქმესა.

*** იქიდამვე გვატყობინებენ: გაზეთს „მწყემსში“ იყო დაბეჭდილი, რომ გორის სასულიერო სასწავლებელი დაქირავებულს სახლშიაო, რომ წელიწადში ქირას ას თუმანს აძლევენო. ეს სრულიად ტყუილია: გორის სასულიერო სასწავლებელი ნაქირავ სახლში არ არის და მხოლოდ ის იყო ნათქვამი, რომ სახლი ძველია, მუდამ წელს ას თუმნამდე უნდება ხარჯი მის შეკეთებასა და ამიტომ უმჯობესი იქნება, რომ სხვაგან დაიქირაონ, თორემ ეხლანდელი სახლი შეიძლება თავს დააწვეს შიგ მყოფთ და საცოდაობა დააბრუნოსო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ქვემო-ჭალა (ქართლი), მაისის 24-ს. ეს სოფელი გაშენებულია ყოველის ფრით მშვენიერს ხეობაში. შუა-სოფელში წყალი ჩამოუდის, გარეშემო ბაღები, ვენახებია; ტყეც ახლო აქვს. ეს სოფელი სრულიად მოშორებული და მოკლებულია ჭაობებს, რომელიც ცუდად მოქმედობს კაცის ჯან-მრთელობაზედ. ჰავა აქ კარგი არის, მაგრამ ხშირად ჩნდება ხან ერთი და ხან მეორე ავადმყოფობა. შარშან იყო და დიდი ზარალი მისცა ლეხურის ხეობის სოფლებს და ამასთანავე,

---

ვკვდებიო და ამიტომ ხშირად ამბობდა, ნეტავი ისეთს მადლს იზამდეს ვინმე, რომ სიკვდილის შემდეგ ჩემს სამშობლო სოფელში წამიღებდეს და იქ სამშობლო მიწას მომაყრიდესო. ჯოზეფ ბელს ეტკინა გული და უთხრა: შენი სურვილი ჩემს კისერზედ იყოსო. გადაიცვალა ქალი. ბელი თვითონ ღარიბი იყო, ღლიურად ძლივს სცხოვრობდა; როგორმე უნდა-კი აესრულებინა თავის აღთქმა. იანგარიშა, რკინის გზით წაღება ცხედრისა 40 მანეთად დაუჯდებოდა და ამ ღარიბს დურგალს-კი სად მოეძევებოდა ამოდენი ფული. ადგა, გააკეთებინა კუბო, წააწერებინა პატარა ქვაზე სახელი და წლოვანობა გარდაცვალებულისა, იშოვა საჭირო მოწმობა და ქაღალდები, მივიდა სამკურნალოში და ხელით სატარებელი პატარა ურემიც თან მიიტანა. სამკურნალოში ცხედარს არ ანებებდნენ: ვინ იცის, ვინ არის და ან რისთვის უნდა ცხედარიო; ბოლოს, როგორც იყო დაარწმუნა ბელმა, რომ საცოდავის სურვილს ვასრულებო, იმის სამშობლო სოფელში მიმაქვს დასამარხავადაო. მაშინ-კი ცხედარი მისცეს. დურგალმა მოასვენა ცხედარი მოტანილის ურმით ჯერ თავის სახლში და მეორე დღეს დილა ადრიან წაასვენა სამშობლოში იმავე ხელის ურმითვე. თან წაიყვანა თავისი პატარა შვილიცა, რომელიც ჰშველოდა მამას აღმართებში იქ, საცა გაუჭირდებოდა ხოლმე ურმის ატანა. პირველ დღეს მშვიდობიანად იარეს და არა შემთხვევიათ-რა, თუმცა-კი ჯოზეფი ძრიელ დაიღალა და უქეიფოდაც შეიქნა. მაინც არ გაუტყდა არც დაღალვას, არც უქეიფობას და მეორე დღეს ისევ გზას გაუდგა. გზაზედ პოლიციელები დაჰხვდნენ, რადაც ეჭვი მიიტანეს და მოსთხოვეს, რომ კუბოს თავი აჰხადეო. დურგალმა ჰკითხა: საბუთის ქაღალდი რამე გაქვთ სასამართლოსი, რომ მაგას ითხოვთ ჩემგანაო? პოლიციელებს არავითარი ქაღალდი არა ჰქონდათ, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიდნენ. ბელი არ დაჰნებდა: მე ჩემს უფლებას თავისუფალის ინგლისელისას არ დავთმობო. შვილმა დაიწყო ყვირილი, გვიშველეთო. ამ ყვირილზედ მოვიდა უფროსი პოლიციელი, მოისმინა ბელისაგან საქმის გარემოება, ბელი მართლად იცნო, შეადგინა განაჩენი და ნება მისცა, შენ შენს გზას შეუდგიო. მესამე დღეზედ, საღამოს, მამა-შვილნი მივიდნენ პატარა სოფელში, მიცვალებულის ქალის სამშობლოში და ცხედარი მიაბარეს მიწას სწორედ იმ სასაფლაოზე, საცა უდროოდ დღე-მოკლებულს სწყუროდა დასაფლავებულიყო. ჯოზეფ ბელი თავის შვილით დაბრუნდა ისევ ლონდონში ფეხით და თან მოათრევდა ნაქირავებ პატარა ურემსაც. დაბრუნდა და უხაროდა, რომ პირი არ შეირცხვინე, შევუსრულე აღთქმა მიცვალებულს და ჩემი უფლებანიც თავისუფალის მოქალაქისა არავის არ დაუთმე და შევაბღალვინეო.

**

ისპანელებსაცა აქვთ თავისებური თავ-მოწონება და ამპარტავნობა. ისპანელის კეთილშობილის ჰიდალგოს ამპარტავნება და დიდკაცური ქიმვა ხომ მოგეხსენებათ, მაგრამ, ესთქვათ, ამ კუდა-აზნაურს, რომელსაც ხშირად პურიც არა აქვს საჭმელად, ჩვენებურსავით, უსწავლელობით მოსდის, რომ ასე მოაქვს თავი, ყვენსაც არ აძლევს სალამს და თავმოწონებული მუდამ ხმალზე ხელი უძევს. საქმე ის არის, რომ ასეთისავე დიდის აზრისანი არიან თავიანთ თავზე, ასევე მაღლა აყენებენ თავიანთ კაცურს ღირსებას ისინიცა, ვინც ნასწავლია, ავი და კარგი ესმის და ისიც იცის, რომ ზოგჯერ, „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“. რაც უნდა მაღალხარისხოვანი პატივცემული კაცი იყოს, თვით მეფეც რომ იყოს, ისპანელი იმასაც არ დაუპატარავდება, გზიდამ არ ჩამოეცლება, არას დაუთმობს, ისე მედიდურებს და ამპარტავნობს თავის კაცად-კაცადობითა. ესეთნი არიან არამც თუ თავად-აზნაურნი, არამედ გლეხობაც გულ-ზვავია. ისპანელი გლეხები ისე გათახსირებული-კი არ არიან, როგორც ბევრგან სხვაგან, წელში ოთხად მოკაკული, დათენთილი და დაუძლურებული. სხვა ქვეყნის გლეხი რომ ისპანელ გლეხკაცთან დააყენო, გეგონება, რომ ის თავადიშვილია და ეს-კი ყურ-მოჭრილი ყმაო.

ერთს ხელოვანს მხატვარს, ჩამომავლობით ისპანელს, მეტად სახელგანთქმულს და დიდებით მოსილს, უთხრა მეორე ხელოვანმა და აგრეთვე სახელ-განთქმულმა მხატვარმა:

— დამითმეთ მე გასასყიდად თქვენი დახატული სურათებიო და მე თქვენ სახელსა და დიდებას მოგფენ მთელს ქვეყნიერობაზე.

— მეო, — უთხრა თავ-მომწონედ მხატვარმა,—ვერ წამიტყუებს და ვერ მომისყიდავს ის დიდება, რომელიც ვაჭრის ქებით მოიპოვება. რად მინდა შენი მთელი ქვეყნიერობა. მე ერთს მუჭა მიწას ჩემის ქვეყნისას მთელს შენს დაქადებულს ქვეყნიერობაზედ არ გავცვლიო.

მეორე ხელოვანმა მხატვარმა, ისევ ისპანელმა, ასე უპასუხა დედოფალს იზაბელას, როცა მან შეუთვალა, რამდენიმე სურათი მომყიდე, შენი დახატული, ჩემის სევილიის სასახლისათვისაო:

— მოახსენეთ მის უდიდებულესობასაო, უთხრა მხატვარმა გამოგზავნილს კაცებს,—რომ მე კატალონელი ვარ და კატალონიისათვისა ვხატავ მხოლოდ სურათებს. თუ დედოფალს ჰნებავს იქონიოს ჩემი სურათები, გადმოსახლდეს ჩვენს მშვენიერს კატალონიაში და მაშინ დიდის სიამოვნებით დავხატავ მისთვის სურათებსაო.

ერთხელ მეფე ალფონს მე-XII რაღაზედაც გაარისხა ერთმა ახალგაზდა ისპანელმა მხატვარმა. ეს ამბავი სევილიაში მოხდა, გვადალკვივირის მდინარის ნაპირად. მეფემ ველარ მოითმინა და შეჰყვირა:

— ის მაინც ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენ ერთი საწყალი მხატვარი ხართ და მე კი...

— ბედნიერი მეფე ბრძანდებით! დაათავა მეფის მაგიერ სიტყვა ახალგაზდა ისპანელმა: ეჰ, თქვენო დიდებულებავ, ალფონსები თორმეტნი იყვნენ და მხატვარი ფერნანდო ოლტრელი-კი მხოლოდ ერთი იყო, ერთი არის და ერთი იქმნება! ამ ამბავს დედოფალიც დაესწრო. მეფემ გაიხარხარა და აქვე მყოფმა დედოფალმა უბძანა მხატვარს: თქვენ მეტად თავ-მომწონე ბრძანებულხართო!

— დიაღ, თავ-მომწონება ჩემი ერთად-ერთი განძი-ღაა ამ ჟამად. მეფე მიუბრუნდა იქავ მდგომს მარშალს ტოპეტსა და ასე უთხრა:

— მეტი რა გზაა, მეფეებმა უნდა მისცენ თავიანთ ქვეშევრდომთ არა თუ მაგალითი ზრდილობისა და მართებულობისა, არამედ მორჩილებისა და გულ-მშვიდობისაცაო.

მაინც მისმა უდიდებულესობამ დაიხსომა ეს ამბავი და გულში შეირჩინა.

ერთს კარნავალზე 1884 წელს ვიღაც ნიღაბოსანმა კადნიერი სიტყვა მოახსენა მეფეს.

— თქვენ ისეთი უზრდელი და ბრიყვი ყოფილხართ, როგორც ფერნანდო მხატვარიო, ველარ მოითმინა და გაუწყრა მეფე ალფონს მე-XII.

გაკვირვებულმა ნიღაბოსანმა უკან დაიწია.

— მომიტევეთ, ხელმწიფეო, საკვირველია ნიღაბ-ჩამოფარებული როგორ მიცანით. აიხსნა ნიღაბი და ფერნანდო მხატვარი-კი იყო.

**

რასაკვირველია, ქვემო-ჭალასაც ყვავილმა, რომელმაც რამდენიმე თვე გასტანა, ყვავილს მოჰყვა საქონლის ჭირი, ამას წითელა, წითელას წელს—სურდო-ხველა და თავის ტკივილი და ამ უკანასკნელს—სახადი. ქვემო-ჭალაში ამ ჟამად ორი ოჯახი არის სახადით ავად. ერთი შიგ შუა სოფელში და მეორე ნახევარ ვერსტის მოშორებით. პირველ ოჯახში ხუთ-ექვსამდინ სული წევს — უფრო მომეტებულად მდედრობითის სქესისანი და არ ვიცით, როგორ გადარჩებიან. მეორე ოჯახი ოსებისაა. ამ ოჯახში სამი ყოფილა სახადით ავად, სამივ მამაკაცები და სამივე მგონი რომ მშვიდობიანად გადარჩენილან. ეს კიდევ კარგია, რომ ჯერ-ჯერობით სახადს არავინ უმსხვერპლია.

ლეხურის ხეობას ექიმი არა ჰყავს. ამოდენა მრავალ სოფლებიანი ხეობა, როგორიც არის ლეხურის ხეობა, სრულიად მოკლებულია ექიმებს და ფერშლებს. მაზრის ექიმის მოწვევა 25—30 მან. დაუჯდება კაცს და ეს ამოდენა ფული ჩვენთვის და მეტადრე ჩვენის მდაბიო ხალხისათვის დიდი ფულია. ამას ისეც უნდა დავუმატოთ, რომ მარტო ერთხელ მოწვევა ექიმისა ავადმყოფს არას არგებს. ახლა კიდევ წამლები და ჩვენ ჩვენი დაგვემართება.

—

ოთხი წელიწადი იქნება, რაც ჩვენში ქურდობა და ავაზაკობა ასე თუ ისე შესწყდა. ამ ოთხს წელიწადში ჩვენში საიმისო ქურდობა და ავაზაკობა არა მომხდარა-რა, გარდა იმისა, რომ ათასში ერთხელ თუ მოიპარავს ვინმე ძროხას და ან კამეჩს; მაგრამ აქ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ პატრონი დანაკარგს მალე იბრუნებს, რადგანაც როგორადაც სამაზრო, აგრეთვე ადგილობრივი პოლიცია ყურადღებით არის ხოლმე ამ გვარ შემთხვევაში. ამ გვარად ჩვენში ამ ოთხის წლის განმავლობაში მყუდროება სუფევდა, მაგრამ წელს ჩვენმა ღამის სტუმრებმა ისევ გაიღვიძეს, ისევ მოიგონეს თავიანთი ხელობა. ამათ კარგად იციან, რომ ეხლა ზამთრის—მუშაობასა და სარჩოს შემოტანის დრო—ღამე გრძელი, მეტადრე ხანგრძლივი, აწინდელს დროში კაცს დახლს ვერ შესძენს და აი დაიწყეს ქონების შეძენა.

გარე-კახეთს ყოველ წელიწადს იგლეჯენ თაქლა-ყარაჯალელი თათრები, რომელნიც წელიწადში არამც თუ ერთხელ, არამედ ხუთჯერაც და ექვსჯერაც დაეცემიან ხოლმე იორის-ხევლებს, მიუდით მათი საქონელი და სასიკვდილოდაც არ ინდობენ მწყემსებს. ღმერთმა დაიფაროს ლეხურის ხეობა ამ გვარის უბედობისა და ავაზაკობისაგან. აქ თაქლა-ყარაჯალის თათრები არ ავაზაკობენ; აქ ისე აშკარად არ იქცევიან ქურდები, როგორც იქ; აქაური ღამის სტუმრები ნამდვილი ჯიბგირები არიან: მოასწარ—ხომ წაართმევ კიდევაც ქურდს ნაქურდალსა, არ მოასწარ და უნდა გამოემშვიდობო შენ საქონელს დროებით და ხანდისხან სამუდამოდაც, მხოლოდ იშვიათად, მაშინ-როდესაც იორას-ხეობაზედ იციან თათრებმა: საქონელს პირ-და-პირ დაეცემა ოცამდე შეიარაღებული თათარი და ძალით მიუდით. აქაური ღამის სტუმრები, როგორც წეღან მოგახსენეთ, თათრები არ არიან, აქ ოსებს დარჩათ ბურთი და მეიდანი, ოსები ნავარდობენ საღამ-საღამოობით. ამ ვაჟბატონებმა კარგად იციან ქვემო-ჭალაში ყველას სახლები, ბოსლები და თვით ის მანდორიც, სადაც აქაური საქონელი გაშლილია საძოვრად და ამისათვის მეტადრე ამ ერთს კვირაში ხშირად გვესტუმრებოდნენ. ამ ორიოდე დღის წინად ქვემო-ჭალაში ღამის ცხრა საათზედ დაიპარეს ოსებმა ერთი ცხენი, ძროხა, ხარი და სხ.

ნ. ლ—ძე

---

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

პოლიტიკაში ახალი ამბავი არა არის-რა: რაც გუშინა და გუშინწინ იყო, დღესაც იმაზეა ლაპარაკი. გაზეთებს ვერაფერი საქმე მოსდით. უიმისოდაც შეათხელა გაზეთები ზაფხულმა და ახლა ეს უარარაობა პოლიტიკაში ხომ სრულიად გამოაცლის ღონესა, გააუფერულებს და მიაბინარებს.

გაზეთი „Новости“ მაინცა სცდილობს გამოსძებნოს რამე პოლიტიკაში, მაგრამ ვერაფერს ვერა პოულობს და ძველს ამბებს მოგვითხრობს. იმის აზრით, დღევანდელის საპოლიტიკო საქმეების ისტორია ასე დაიწყო:

> ჯერ გაჩნდა კონვენცია ინგლისსა და ოსმალეთს შორის ეგვიპტის თაობაზე. შემდეგ გამოვიდა ხმა, რომ რუსეთი და საფრანგეთი ეწინააღმდეგებიან ასეთის კონვენციის შეკვრასაო. ამავე დროს ინგლისის გაზეთებმა გაცხარებით დაიწყეს მსჯელობა ავღანისტანის საქმეზე. გამგზავნელი კომისია, რომელიც პეტერბურგში მუშაობდა, რაღამაც შეაფერხა. ინგლისის უფროსი რწმუნებული ამ კომისიაში, პოლკოვნიკი რიჯვეი, წავიდა ლონდონს და, ეტყობა, აღარ დაბრუნდება პეტერბურგშიო. ინგლისი სასწრაფოდ ისხავს თოფ-იარაღს და ემზადება ავღანისტანის საქმის გამო, თითქო წინ-და-წინვე ჰგრძნობს, რომ რუსეთთან მოლაპარაკებიდამ არა გამოვა-რა, უსიამოვნობის მეტიო. დასასრულ, ბოლგარიის საქმემაც კვალად წამოჰყო თავი.

გაზეთი ამბობს, რომ ევროპაში ყველა ამ საქმეს: ეგვიპტისას, ავღანისტნისას და ბოლგარიისას ერთად აკავშირებენო. გერმანიის გაზეთები ხომ ცხადად ამტკიცებენ, რა იდუმალი კავშირიცა აქვს ვითომ ამ სამის საქმის ერთი-ერთმანეთზედ გადაბმასაო. ვინ იცის, იქნება მართლა ასეც იყოს...

**

გაზეთი „Русс. Вѣд“-ში დაბეჭდილია კარგა მოზრდილი მეთაური წერილი ერთის ახირებულის და მეტად უცნაურის პროექტის თაობაზე. ეს პროექტი შეუდგენია ვიღაც პროფესორს, რომელიც ამტკიცებს თურმე, რომ სწავლის ფასი მომეტებული უნდა დაწესდეს უნივერსიტეტში სტუდენტებისათვისაო. ამ ბრძენს კაცს ისიც გამოუთქვამს, რომ უნივერსიტეტში უნდა მიიღებოდნენ ხოლმე შვილები მხოლოდ თავად-აზნაურთა და პირველის გილდიის ვაჭრებისაო და თითოს წელიწადში უნდა გადახდეს 400 მან.

რაღა 400 მან. დაუნიშნია ამ საკვირველს პროფესორსაო, და არა 500—600 ან კიდევ მეტიო, ოხუნჯობს ზემოხსენებული გაზეთი. თუ კი ის უნდა, რომ უფრო მომეტებულს ხალხს დაუხშოს კარი სწავლისა, ბარემ 1.000 მან. დაჰნიშნავდაო.

გაზეთი ამბობს, რომ ჯერ ასეთი უცნაური პროექტი არ დაუბადნია უნივერსიტეტს 1755 წლიდამ დაწყობილიო. აქამდე ყველა იმასა სცდილობდა, უნივერსიტეტიცა და საზოგადოებაცა, რომ უფრო მომეტებულს ხალხს მიეღო მაღალი სწავლა და ამისათვის არა ვითარს შემწეობას არა ზოგავდაო. ეხლა-კი გამოსულან ვიღაც ჩვენი მხსნელები და იმასა სცდილობენ, რომ შეაფერხონ განათლებისა და მეცნიერების გავრცელებაო.

> რა ჭკუაში მოსასვლელი იყო ასეთი აზრიო? სამართლიანის გულის-წყრომით კითხულობს გაზეთი. ნუ თუ მარტო მდიდრებმა უნდა ისწავლონ და მიიღონ განათლება და ღარიბი უმრავლესობა-კი სიბნელეში დარჩესო? რა დანაშაულობა აქვთ განა იმ ღარიბს აზნაურებს, რომელნიც ვერ შეიძლებენ ამოდენა ფულის გადახდას, რომ იმათ კარი დავუკეტოთ უნივერსიტეტისაო. ან რა დააშავეს სხვა წოდებათა, რომელნიც მომეტებულს სახელმწიფო გადასახადს იხდიან და, მაშასადამე, სარგებლობა მოაქვთ ქვეყნისათვისაო. რად უნდა მოაკლდნენ ის წოდებანი საუნივერსიტეტო სწავლასა? რა სამართალი და პატიოსნებაა, რომ სიმდიდრე და გვარი-შვილობა ნიჭსა და შრომის-მოყვარეობაზე მაღლა დავაყენოთო. სახელმწიფომ თანაბრად უნდა გაუწიოს მფარველობა ყველა წოდებასა. სამართალი და თვით სარგებლობა სახელმწიფოსი მოითხოვს, რომ სახელმწიფომ იზრუნოს და რაც შეიძლება მრავალს ყმაწვილ-კაცობას მისცეს განათლება და განავითაროს ქვეყნისა და სამშობლოს სასარგებლოდ. სახელმწიფოსათვის სულ ერთი უნდა იყოს, რა წოდებისანი იქმნებიან სწავლის მსურველნიო.

ძნელია, როცა გაზეთი იძულებულია ამტკიცებდეს, რომ ორჯელ ორი ოთხიაო. «Рус. Вѣд»-ი სწორედ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილა. თუ არ მტერი ქვეყნისა და გონება დაბნელებული, სხვა ვინ მოინდომებს იმას, რაც მოუნდომებია პროექტის ავტორს. ამისთანა ხალხზე ხომ არავითარა საბუთი და ნათელი აზრი არა მოქმედობს. არ იმოქმედებს, რასაკვირველია, ზემოხსენებულის გაზეთის ლაპარაკიცა. კუზიანს მარტო სამარე თუ გაასწორებს.

---

# უცხოეთი

**ბოლგარია.** სტამბოლიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Daily News“-ს: უეჭველია ამ ახლო ხანებში ბოლგარიის სამთავრო ტახტის მთავრად ამორჩეული იქნება რომელიმე პრინცი დროებით; ამ პრინცს ექმნება მანდობილი ქვეყნის მმართველობა იმ დრომდე, ვიდრე სრული მშვიდობიანობა ჩამოვარდება ბოლგარიის მკვიდრთა შორის და ვიდრე კანონიერი მთავარი იქმნება ამორჩეულიო; პრინცი თავის ნებაზედვე დაჰნიშნავს დროებით მინისტრებს. შემდეგ ყველა ამისა დიდი

---

ინგლისელებზედ ლაპარაკით დავიწყეთ ეს ფელეტონი და მაშ ერთის ინგლისელის რომანითვე გავათავოთ. ეს რომანი მეტად ახირებული რომანია. დასაწყისი მისცემია ლონდონში და პარიჟში-კი გათავებულა მოსამართლეთა წინაშე. მოქმედება უფრო საფრანგეთის მიწა-წყალზე სწარმოებს, მაგრამ ეს არაფერია, რადგან როგორც გმირი-კაცი ამ რომანისა, ისე გმირი ქალი წმინდა ინგლისელები არიან. და ან სხვა ვინ ჩაიდენდა ასეთს უცნაურს და დაუჯერებელს ამბავს, თუ არ ინგლისელი, ანუ მისივე მზგავსი თანამოძმე ამერიკელი.

აი საქმე როგორა ყოფილა: სასამართლო ასამართლებდა ახალგაზდა ინგლისელს ქალს. რომელსაც აბრალებდა, რომ განზრახვით გისროლია რევოლვერი და დაგიჭრია შენი ქმარიო. მისი ქმარი, ინგლისელივე, გვარად მონტანე, ახალგაზდა ზღვის აფიცერია და მსახურობს საფრანგეთის ფლოტში. იულია როტშილდი, —ეს სახელი ჰქვიან ბრალ-დებულს, შეჰხვედრია და გაუტაცნია ეხლანდელი თავისი ქმარი ერთს გასართობსა და სალხინო სახლში. იულია თავ-ქარიანი ქალი ყოფილა, გაარშიყებია მონტანეს და ღამე სასტუმროში ერთად გაუტარებიათ. რაც მოხდა მერე, ამას თვით მონტანე ასე მოგვითხრობს:

„შარშან დეკემბერს მოვედი ლონდონში. გავიცანი იულია და ვსთხოვე, პარიჟში წამომყევი-მეთქი. ქალი დამეთანხმა. უკან წამოსასვლელი ბილეთი-კი მაშინვე მომთხოვა: რა ვიცით, ბევრჯერ მოუტყუებივართ, და იქნება შენც მომატყუილოვო. სამი დღე ვიყავით „გრანდ-ოტელში“. შემდეგ დავიჭირე სახლი მონტენის ქუჩაზე და მთელი თთვე გავატარეთ აქა. ერთის თთვის შემდეგ იულიამ მითხრა: „რახან ასე გვიყვარს ჩვენ ერთმანერთი, ბარემ ჯვარი დავიწეროთო“. ავდეგით და წაველით ინგლისში ჯვარის დასაწერად.“

**თავს-მჯდომ.** თქვენ მაშინ ოც-დახუთის წლისა არა ყოფილხართ და ნება არ აგიღიათ თქვენის დედისა, რომელიც ეხლა სთხოვს სასამართლოს, რომ თქვენი ქორწილი გააუქმოს.

**მონტანე.** ეგ-კი ველარ მოვიფიქრე. დიაღ, მივედით თუ არა ლონდონში, წაველით სახელმწიფო რეგისტრატურაში, საცა გადამწერეს ჯვარი. არც ქაღალდები და არც საბუთები იქ ჩვენთვის არ მოუთხოვნიათ. დაგვწერეს ჯვარი და ისევ პარიჟში მოვედით.

**თავს-მჯდომ.** მერე როგორ მოხდა, რომ დამბაჩა გესროლეს?

**მონტანე.** მე და ჩემმა ღმერთმა არა ღირს მაგაზე ლაპარაკი: მე არ ვუჩივი ჩემს ცოლსა და ეხლაცა გთხოვთ გაანთავისუფლოთ.

**თავს-მჯდომ.** თქვენ უნდა ხელ-მეორედ გვიამბოთ, რაც გამომძიებლისათვის გიჩვენებიათ.

**მონტანე.** მე უნდა ფული მეშოვნა 15 აპრილისთვის და გამეგზავნა ცოლი ლონდონში. იქ მაგას უნდა მოემზადებინა ქაღალდები და საბუთები, რომ ამით გაგვეუქმებინა დედი-ჩემისაგან დაწყობილი საჩივარი იმაზე, რომ ვითომ ჩვენი ქორწილი ნამდვილ და კანონიერ ქორწილად არ ჩაითვლებაო. მე ფული ვერ ვიშოვნე. ეს ჩემს ცოლს ძრიელ ეწყინა. გაბოროტებული იულია თავის ოთახში შევიდა და მეც თან შევყე. იულიამ წამოავლო ხელი რევოლვერს, რომელიც ბუხრის რაფაზე იდო ხოლმე და საფანტით იყო გატენილი...

**თავს მჯდ.** რა აზრით დასდეთ რევოლვერი რაფაზე?

**მონტანე.** სანთელს იმითი ვაქრობთ ხოლმე; ჩემი ჩვეულება ეგ არის (ამ დროს სიცილი ატყდა ხალხში).

**თავს-მჯდ.** იქნება თქვენი ცოლიც მაგ ჩვეულებასვე მისდევს და თითიც რევოლვერისაგანა აქვს დაშავებული?

**მონტანე.** არა, ბატონო, იულია დასჭრა ჩვენმა პატარა ზარბაზანმა (ხალხი ჰკვირობს და შტერდება).

**თავს-მჯდომ.** როგორ? სახლში ზარბაზნებიცა გაქვთ?

**მონტანე.** ჩემს ოთახში ზარი არ არის; ზარის მაგიერ პატარა ზარბაზანია და როცა მოსამსახურეს მინდა დავუძახო, მაგ ზარბაზანს გავისვრი ხოლმე (ყველანი იცინიან). ასე იყო თუ ისე, იმ დღეს ცოლმა დამიმიზნა რევოლვერი, მაგრამ პირველმა ორმა სროლამ ტყუილად ჩაიარა, რადგან ორი ლულა გატენილი არ იყო, მესამე ლულაში-კი ტყვია ყოფილიყო. ეს ტყვია მომხვდა ხელში. ჩემი ცოლი ცოტა კაპარჩხინაა, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ მეც ხშირად ვაჯავრებდი ხოლმე. მე გთხოვთ, ნუ დასჯით.

**თავს-მჯდ.** თქვენ ამას წინადაც სხვაზედაც ჯვარი დაგიწერიათ, მგონი, ტაიტში?

— ო, არა, ის ხუმრობით იყო: ის ქორწილი ზღვაზე გადახდილი ქორწილი იყო (იცინიან).

**თავს მჯდომარე** ეკითხება ბრალდებულს ქალს:

— თქვენ რაღას იტყვით.

— მე უარს ვამბობ იმაზე, რომ ვითომ მე მესროლოს ქმრისათვის დამბაჩა და დამეჭრას მარჯვენა ხელში; ისე მეშინიან იარაღისა, რომ შიშით არ შემიძლიან ხელი ვახლო, არამც თუ გავისროლო. ჩემს ქმარს-კი რაც შეეხება, იმას ხშირად დაუწყვია ჩემთვის მუქარა; ერთხელ ხმალი შემომიქნია; მეორედ ერთი ყუთი თოფის წამალი მოიტანა და მითხრა, რომ უნდა ავაფეთქო და დავანგრიო სახლი, იქნება ორთავენი ერთად დაგვიტანოს იმისმა ნანგრევებმაო.

— მაშ თქვენ როგორ გგონიათ, რამ დასჭრა თქვენი ქმარი?

— თითონ დაიჭრა თავი. მე ვუთხარი, ინგლისს მინდა წავიდე-მეთქი. იმან დაიწყო ყვირილი: „ეხლავ თავს მოვიკლავო“. თუ შენ თავს მოიკლავ, მოწმები არ არიან და იტყვიან, ვითომ მე მომიკლავხარ-მეთქი. „მაშ მე ხელში მოვირტყამ დამბაჩას და მერე ვიტყვი, რომ შენ დამჭერიო“, მიპასუხა ქმარმა. აი ამ დროს ზურგთ უკან წაიღო ლევოლვერი და გაისროლა. სამჯერ გავარდა და არაფერი, მეოთხედ-კი ხელში მოირტყა. მე გული წამივიდა.

— რასაც თქვენ ამბობთ, ნამდვილს არა ჰგავს, დაუჯერებელია. განა თქვენი ქმარი ცაცია არის, რომ მარჯვენა ხელი დაიჭრა?

— მე გულ-წასული ვიყავ, აღარ მახსოვს.

— თქვენ გათხოვილი იყავით წინად?

— დიაღ, ორჯელ თუ სამჯერ, მაგრამ რა გათხოვება იყო, სამჯერვე ხუმრობით შევირთე ქმარი (სიცილი).

იულია როტშილდის ადვოკატმა, გამოჩენილმა ალენმა, ბევრი თურმე ილაპარაკა, ქმარმაც სთხოვა სასამართლოს, ნუ დასჯით ჩემს ცოლსაო, მაგრამ მაინც ორის კვირით ციხე გადაუწყვიტეს.

არა, როგორ მოგწონთ ეს ხალხი და მათი ზნე-ჩვეულებანი? გაგიგონიათ, რომ სანთელს რევოლვერით აქრობდეს ვინმე და მოსამსახურეს ზარბაზნის სროლით ეძახდეს სახლში?

დიდება შენდა, უფალო! არა, ორჯერ-სამჯერ დაქორწილება რაღა ეშმაკია და მერე ისიც ხუმრობით?!

გ. უ.

საერო კრება იქნება მოწვეული და კანონიერი მთავარი ამორჩეულიო.

— „Journal des Débats“-ის ვარნელი კორრესპონდენტი ამბობს, რომ განზრახვა აქვთ ბოლგარიაში რესპუბლიკა დაარსონ და ამ რესპუბლიკის მეთაურად ალექსანდრე-ფაშა ამოირჩიონო. თუ ეს განზრახვა სისრულეში მოვიდა, ეს გამარჯვება იქნება ავსტრო-ვენგრიისა და გერმანიის პოლიტიკისა რუსეთის პოლიტიკაზედ აღმოსავლეთის საქმეშიო. ამაზე გაზეთი „Correspondenz Hongroise“-ი ამბობს: ჩვენ არ ვიცით, მართალია თუ არა, რომ ალექსანდრე-ფაშას განზრახვა აქვს ბოლგარიის ახალ რესპუბლიკის მეთაურობა იკისროს, მაგრამ ის-კი ტყუილია, ვითომ ავსტრო-ვენგრიის და გერმანიის მთავრობანი ხელს უმართავენ ალექსანდრე-ფაშის სურვილსაო. ავსტრო-ვენგრია, პირ-იქით, ყველა კანდიდატს მიიღებს ბოლგარიის სამთავრო ტახტისათვის, თუ ეს კანდიდატი თვით ბოლგარებისა და დიდ სახელმწიფოთაგან იქნება ერთ-ხმად მოწონებული და მიღებულიო.

საფრანგეთი. პარიჟელი კორრესპონდენტი ამბობს გაზ. „Standard“-ისა, რომ ყველგან ხმაა გავრცელებული, ვითომ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბ-ნ გრევის განზრახვა აქვს სამსახურს თავი დაანებოსო.

გერმანია. როგორც სტამბოლში ხმა დადის, საფრანგეთს შეუთვლია თურმე გერმანიისათვის: უნდა ჩავერიოთ ეგვიპტის საქმეში და ხელი შევუშალოთ ინგლისს, რომ ერთიან თავის სასარგებლოდ არ გადასწყვიტოს ეგვიპტის საქმე, როგორც ხელ-შეკრულობაც არის შედგენილიო, მაგრამ გერმანიას უარი უთქვამს ეგვიპტის საქმეში ჩარევაზე ინგლისის წინააღმდეგ.

— გერმანიის ჯარში კარგი მოგონება შემოუღიათ. ამიერიდგან გერმანიის ჯარის ყოველ დივიზიაში უნდა იქნეს თურმე გასანათებელი იარაღი, სამხედროდ მოწყობილი. ღამ-ღამე ამ იარაღის წყალობით მტერი ვეღარ დაეცემა თავზედ ჯარს ჩუმად და უეცრად, რადგან მთელი ბანაკი ჯარისა დღესავით იქნება განათებულიო.

ინგლისი. ამას წინად ოსმალეთის სულთანს მიუღია ინგლისის წარმომადგენელი უაიტი და უაიტს მოუხსენებია სულთანისათვის, რომ სასურველი იქნებოდა კუნძული კიპრი სრულიად შეერთებოდა ინგლისსაო.

იტალია. სამზღვარ-გარეთის გაზეთების სიტყვით, იტალიას უკვე საბოლოოდ გადაუწყვეტია აბისინიასთან ბრძოლა და ომის დაწყება. ამ განზრახვას და გარდაწყვეტილებას იტალიისას ამტკიცებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ამ ჟამად ნეაპოლში დიდს საომარს სამზადისში არიან; ნეაპოლშივე დიდ საომარს სურსათს, სამხედრო მოწყობილობათა, ჯარის ტანთ-საცმელს და სამკურნალო შეწყობის მისაცემად საჭირო ნივთებს ჰკრეფენ თურმე; იტალიის თოფხანებშიაც ამ ჟამად დიდი მუშაობა აქვსთო. ყოველ დღე მიდის მასსოვაში გემები, ჯარითა და სამხედრო იარაღით დატვირთული. ამ ჟამად იტალიას 10.000 კაცისაგან შემდგარი ჯარი ჰყავს თურმე დაბანაკებული მასსოვასა და მის ახლო-მახლო ადგილებში. ამბობენ, რომ ამ ახლო ხანებში გენერალი სალეტტა ოფიციალურად გამოუცხადებს ნეგუსს ომსაო. ამ ბოლოს დროს აგრეთვე ამბები მოვიდა, რომ რას-ალულას დიდ-ძალი ჯარი ჰყავს თავ-მოყრილი და უფრო-და-უფრო უახლოვდება იტალიის სამზღვრებსაო, ასე რომ ზოგიერთს იტალიის სამზღვრებს უკვე ერთის თოფის სროლაზე მოადგა კიდეცაო.

ოსმალეთი. გაზ. „Politische Correspondenz“-ი ამბობს, რომ ძნელად თუ ოსმალეთ-ინგლისის ხელ-შეკრულობა ეგვიპტის საქმის გამო დამტკიცებულ იქმნესო. ოსმალეთის საპოლიტიკო წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ მაგ ხელ-შეკრულობის დამტკიცება ამცირებს ოსმალეთის ღირსებას, როგორც პირველის და ყველაზედ ძლიერის მაჰმადიანთა სახელმწიფოსასაო. სულთანს რამდენჯერმე თათბირი ჰქონდა რაზა-ფაშასთან; საიდ-ფაშამაც თითქმის ხუთი საათი გაატარა სულთანთან და ამ ხნის განმავლობაში დიდი ბაასი და კამათობა ჰქონდათო. სტამბოლში ხმა გაუვრცელებიათ, რომ ამ ახლო ხანში ოსმალეთის სამინისტრო შეიცვლებაო.

ბელგია. ბელგიის დეპუტატთა პალატა ამ ჟამად მაასას გამაგრებისა და შეიარაღების კანონ-პროექტის განხილვაშია. ორი დღე პალატა ნამინისტრ-პრეზიდენტარის ფრერ-ორბანის სიტყვის მოსმენას მოუნდა თურმე. ფრერ-ორბანი ამტკიცებდა, რომ „გენერალ ბრიალმონის მიერ წინა-დადებული მაასას გამაგრებისა და შეიარაღების კანონ-პროექტი არ უნდა მივიღოთ და არც საჭიროა. ჩვენ ჩვენის ქვეყნის ძლიერების შეერთებას და ერთად თავ-მოყრას უნდა ვცდილობდეთ და არა დაკუწმაწებასა და განაწილ-ნაწილებასაო. სამინისტრო გვიმტკიცებს, რომ ბელგიის ჯარი ამ ჟამად 100.000 კაცისაგან შესდგება და 30.000 კაცც კიდევ სხვა შეგვიძლიან გამოვიყვანოთო. ეს ტყუილია, ბელგიის ჯარი ამ ჟამად სულ 80.000 კაცისაგან შესდგება და ვერც ერთს კაცს ვეღარ მოუმატებს მთავრობა ამ ჯარსაო. გამოუცხადეთ ხალხს, რომ ჩვენ მაასაში სიმაგრეთა აგება გვინდა, მაგრამ ამავე სიმაგრეთა დამცველი ჯარი-კი არ მოგვეპოვებაო.“ ამ სიტყვამ ფრერ-ორბანისამ დიდი ზედ-მოქმედება იქონია ყველა პალატაში მყოფზე და ვერც ერთმა მინისტრმა ვეღარ გაბედა თურმე წინააღმდეგის თქმა. ამ პალატის კრებას დასწრებიან ყველა დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი და სამხედრო რწმუნებულნი კაცნი.

— ბრუსელიდგან დეპეშით აუწყებენ „ფოსსოვის გაზეთს“, რომ სამხედრო სამინისტრომ ბელგიისამ კრუპს ფოლადის ზარბაზნები შეუკვეთა 8.000.000 მანათისაო.

საბერძნეთი. ათინას გაზეთები დაბეჯითებით ურჩევენ საბერძნეთის მთავრობას, რომ თუ ვინიცობაა ოსმალეთ-ინგლისის ხელ-შეკრულობა დამტკიცდა, რომლის წყალობითაც ეგვიპტის ბედ-იღბალი სრულიად ინგლისს უვარდება ხელში, დაუყოვნებლივ უნდა დავიჭიროთ კუნძული კრიტი ჩვენის ჯარებითაო.

# დეპეშა

4 ივნისი

პეტერბურგი. დღეს აღმართეს ძეგლად გამოქანდაკებული სახე პოეტის ჟუკოვსკისა პეტერბურგში, ალექსანდრეს ბაღში. ეს ძეგლი გამოქანდაკებულია კრეიტონის მიერ ქალაქის ხარჯით და ღირს 4,300 მანათი. ძეგლის აღმართვის დროს სხვათა შორის განსვენებულის პოეტის შვილიც დაესწრო.

მერვი. იმიერ-კასპიის ოლქაში და ჩარჯუაში ინგლისელთ ჯაშუში დაუპატიმრებიათ, ერთი ბუხარელი ებრაელი, რომელსაც უპოვნეს წერილები იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშიაც არისო იმიერ-კასპიის ოლქის საქმეები საზოგადოდ. ეს წერილები ერთის ინგლისელის აგენტისათვის უნდა გაეგზავნა თურმე ჯაშუშს. ეს აგენტი მეშხედში სცხოვრებსო.

კიევი. ივნისის 2-ს სულ ერთიანად დაიწვა დიტიატინის ქაღალდის ქარხანა, რომელიც რადომისლის მაზრაში იმყოფება. შენობა ორმოცი ათას თუმნადა ყოფილა დაზღვეული. ეს ქარხანა ოც-და-ცხრამეტს ათას თუმანს ატრიალებდა წელიწადში; ქარხანაში 300 კაცი მუშაობდა. დამწვარა ამ ქარხნის ყველა საქონლის საწყობები და აგრეთვე 5 მუშა კაცი.

ბელგრადი. ახალი არჩევნები სკუპშჩინაში და სკუპშჩინის მოწვევა მარიამობის თთვეზე ადრე ვერ მოხდება. რისტიჩს ყოველს მხრიდამ მოსალოცავი დეპეშები მოსდის.

ბუხარესტი. გუშინ მოლდავიაში დაიწვა ქალაქი ბატაშანი; რვა ასი სახლი ძირიანად გადაიწვა და შვიდი კაციც ცეცხლში დაიღუპა.

ბერლინი. იმპერატორმა სადილი იმპერატრიცასთან მიირთვა და სადამომდე საქმეებს არჩევდა; ღამე კარგად ეძინა.

გუშინ ბისმარკი ფრიდრიხსრუეში წავიდა.

რეიხსტაგმა მიიღო მეორე წაკითხვის შემდეგ კანონ-პროექტი შაქარზე ბაჟის დაწესებისა.

5 ივნისი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება, რომ მთლად იმპერიაში ხელის-მოწერით ფული მოგროვდეს სემირეჩინსკის ოლქაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდაო.

როგორც ოფიციალურ ცნობებიდამ სჩანს, ანეულს ჭინახულს კარგი პირი უჩანსო.

ტამბოვი. გუშინ აქაურს ოლქის სასამართლოში დაიწყო გარჩევა საქმისა სარატოვისა და სიმბირსკის საადგილ-მამულო ბანკში ჩადენილ ბოროტ-მოქმედების თაობაზე. დამნაშავე სულ ათი კაცია და ამათ რიცხვში ორი წინად ნამყოფი თავსმჯდომარეა ამ ბანკისა, ალიმოვი და ბორისოვი. ამ საქმის გარჩევა ორს კვირამდე გასტანსო.

ლონდონი. გუშინ მოვიდა აქ დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს-ძე მეუღლიითურთ. მათ უმაღლესობათ მიეგებნენ: ედინბურგის ჰერცოგის მეუღლე, მთელი საელჩო რუსეთისა და ბევრი ინგლისის აფიცრები. მუსიკა გვარდის პოლკის საპატიო ყარაულისა უკრავდა რუსეთის საერო საგალობელსა. მგზავრნი დიდის სიამოვნებით აძლევდნენ სალამს უაგგუსტოესს სტუმართ, რომელნიც ჩამოხდნენ ედინბურგის ჰერცოგის მეუღლისას.

დედოფლის დღეობას დაესწრობა აგრეთვე პაპის ელჩი.

საზოგადოებათა პალატაში გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა გამოაცხადა, რომ, როცა ინგლისი ეგვიპტის კონვენციაზე ხელს აწერდა, მას არავითარი საფინანსო ვალდებულობა არ უკისრნიაო.

პარიჟი. როცა ერთი დეპუტატი დაეკითხა მინისტრ-პრეზიდენტს, რად დაიგვიანა იმ კომისიის ნაშრომმა, რომელსაც უნდა განეხილა უცხოელთათვის გადასახადის დაწესების საქმეო, მინისტრ-პრეზიდენტმა პასუხად სთქვა: ეგ საქმე მეტად საჩოთირო საქმეაო და არ უნდა დავივიწყოთ, რომ სავაჭრო ხელ-შეკრულობათა ძალით უცხოელთ ნება აქვთ თავისუფლად მისდიონ თავის ხელობასაო. პალატამ უარ-ჰყო წინადადება დეპუტატისა იმის თაობაზე, რომ კომისიამ წარმოადგინოს თავისი მოხსენება ამ საქმის შესახებაო.

ბელგრადი. სერბიის ელჩი პეტერბურგში გრუიჩი დანიშნულ იქმნა სამხედრო მინისტრად.

სიმლა. ჰერათის მეციხოვნეთა ჯარის ერთი ნაწილი აჯანყდა, მაგრამ მეამბოხენი ძლეულ და გაფანტულ იქმნენ ემირის ერთგულის ჯარის მიერ.

ჩიკაგო. პურის სავაჭრო ბაზარი კვლავ აღელვებულია: ფასი პურისა, მეტადრე იმ პურისა, რომელიც თიბათვეში შემოდის, ვერ დადგა ერთს დონეზე ზარალი 12 ფირმისა, რომელნიც გაკოტრდნენ, თითქმის 10-დამ 25 ათას დოლარამდეა. ნიუ-იორკის პურის სავაჭრო ბაზარიც აღელვებულია.

### პეტერბურგის ბირჟა, 2-ს ივნისს ფასები:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 9 6 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 175¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — › | — › | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — › | 266½ |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | 244¾ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | 97¾ | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97 | — › | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — › | 84½ | — › |

### გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | › |
| › 2 › | 2½ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | › |
| ჯვარის მამის პურის ღავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-3 — . . . | › | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი. . . . | 13 | › |
| ცხვრის ხორცი . . . | 8 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხის. | › | › |
| › 2 › | › | › |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში მეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდა პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი

**გორის ხაზ-ულიერო სასწავლებლის სამმართველო სთხოვს**, ვისაც სურს გასყიდვა სახლისა ქ. გორში, შემოიტანოს განცხადება სასწავლებლის სამმართველოში 14 თიბათვემდის; განცხადებაში უნდა იყოს მოხსენებული უკანასკნელი ფასი სახლისა და ამასთანავე წარმოდგენილი გეგმა. (3—3)

**გაზეთ „თეატრი“-ს რედაქციისაგან**

ჩვენ ვცდილობთ გავაუმჯობესოთ ჩვენის გაზეთის პროგრამა, შევცვალოთ №№ გამოსვლის ვადა და გაზეთის ფასი. ამაზედ თხოვნა „თეატრი“-ს რედაქციამ უკვე შეიტანა და მიზეზი ეს არის ამ ჟამად გაზეთის გამოუსვლელობისა.

ამაზედ აქამდისაც ვაუწყებდით ბბ-თ ხელის-მომწერელთ, მაგრამ სხვა-და-სხვა საპატიო მიზეზთა გამო ვერ გამოვაცხადეთ ვერც ჩვენსა და ვერც სხვა გაზეთებში.

ბბ-თ ხელის-მომწერელთ, ვისაც ფული აქვთ შემოტანილი, შეუსრულდებათ დაკლებული №№-ბი.

გაზეთის გამოსვლას, როცა ნება-რთვა მოგვივა გაზეთის პროგრამის შეცვლისა, წინადვე გამოვაცხადებთ „ივერიასა“ და სხვა გაზეთებში. (3—2)

Дозв. цен. Тиф. 5 іюня, 1887г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Фрейцель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე